მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

პოლიტიკური ცხოველი

მს. პატრიარქ ბართლომეს წიგნის
ქართულ თარგმანთან დაკავშირებით

თბილისი
2019

პატრიარქ ბართლომეს მკრეხელურ წიგნთან დაკავშირებით

საეკლესიო მაღაზიებში გამოჩნდა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს წიგნის **„შეხვედრა საიდუმლოსთან, მართლმადიდებლობა მესამე ათასწლეულში“** ქართული თარგმანი (თარგმნა შ. კიმწურაშილმა, რედაქტორი დეკ. ზაქარია მაჩიტაძე და სხვ.). წიგნი საკმაო მოცულობისაა და ისმის კითხვა, თუ რისთვის იღვაწეს ასერიგად წიგნის გამომცემლებმა, ანუ როგორი სწავლება მოუტანეს და შესთავაზეს წიგნის სახით ქართველ მართლმადიდებელებს?

წიგნის გაცნობის შემდეგ პასუხი სრულიად ცალსახა და ნათელია: მოგვიტანეს ბართლომეს მოდერნისტული, მწვალებლური, მკრეხელური და სულისთვის საზიანო სწავლებები და მოსაზრებები. გასაკვირიც იქნებოდა პატრ. ბართლომეს, ამ სუპერეკუმენისტის ხელიდან სხვა რამ რიგიანი გამოსულიყო, პიროვნებისა, რომელიც მარიონეტად იქცა მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტის ხელში და იღვწის ეკლესიაში სიახლეების დასანერგად (მარხვის შემსუბუქება, მწვალებლური შერეული ქორწინებები, მღვდელთა

მეორედ ქორწინება და სხვ.), პროვოცირებს დიდ განხეთქილებებს ეკლესიაში, რისი სერიოზული ნიშანიც იყო კრეტის ე.წ. სრულიად მართლმადიდებელთა კრება. აღსანიშნავია რომ ამ კრების მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო ოთხმა ადგილობრივმა ეკლესიამ, მათ შორის საქართველოს ადგილობრივმა ეკლესიამაც. აღსანიშნავია, რომ ეს ოთხი ეკლესია მსოფლიო მართლმადიდბელთა უმრავლესობას წარმოადგენს. კრებამ, რომლის მუშაობასაც მწვალებლებიც ესწრებოდნენ, მიიღო ეკუმენისტური დოკუმენტები, პაპოცენტრისტული რეგლამენტი. თუ ვისი შეკვეთით მოეწყო კრეტის კრება, იქიდანაც ნათლად გამოჩნდა, რომ კრების მუშაობას გარე პერიმეტრზე ოფიციალურად იცავდნენ აშშ–ს სპეც სამსახურები, ხოლო მთავარი ორგანიზატორის როლში მოგვევლინა ბერძნული წარმოშობის ამერიკელი ქალბატონი.

დავუბრუნდეთ წიგნის თარგმანს. იქნებ მთარგმნელ–გამომცემლებმა არ იციან ბართლომეს ეკუმემისტურ–მოდერნისტული, პაპოცენტრისტული აზროვნების შესახებ? ნურას უკაცრავად. ისინი თავადვე საუბრობენ წინასიტყვაობაში ამის შესახებ და ეს მათთვის მისაღები და მოსაწონია. აი, მაგალითები ქართულად მთარგმნელ–გამომცემელთა წინასიტყვაობიდან, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბართლომე:

- **„მარხვის ახლებურ გაგებასა და გადააზრებაზე გვესაუბრება“ (გვ.10);**

- **„თემები: ადამიანის უფლებები და სინდისის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება და ტოლერანტობის მნიშნელობა“;**
- **„ასევე გვამცნობს გლობალიზაციის სასიკეთო მხარეებს, ინტერრელიგიური, ეკუმენური თუ კულტურული დიალოგის აუცილებლობას“.**

ბართლომეს პაპოცენტრისტული მისწრაფების დასტურს წარმოადგენს წიგნში მოყვანილი მოსაზრება, რომ თურმე:

- **„მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს შორის მას პირველი ადგილი უკავია და სამასი მილიონიანი ეკლესიის მწყემსმთავარს წარმოადგენს“ (გვ36).**

ეს ფანარას (ქუჩაა სტამბულში) მიტროპოლიტი, რომლის საკუთრივი მრევლი (დიასპორების გარეშე) 5000–საც არ შეადგენს და ჩვენი სამების ტაძრის ნახევარსაც ვერ გაავსებს, მართლმადიდებელ პაპობას ცდილობს. რამდენიმე წლის წინ კონსტანტინოპოლში მოწვეულ კრებაზე მან განაცხადა, რომ იგი, როგორც მსოფლიო პატრიარქი, კანონიკური წესის თანახმად, არის მსოფლიო მართლმადიდებლობის ყველა ადგილობრივი ეკლესიის კოორდინატორი. ეს არის სრული სიცრუე, რადგან ეკლესიის კოორდინატორის ცნება არ იცის არც საეკლესიო სამართლმა და არც მისმა რომელიმე ტრადიციამ. ახლა კი იგი ცდილობს, შექმნას უკრაინის სქიზმატური ეკლესია და თავის

იურისდიქციაში მოაქციოს, რითაც მან გადააბიჯა ყველა საეკლესიო კანონსა და სამართალს. თვით რუსეთის ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ მის ქვეყანას ანექსირებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტარიტორიები, არ ახდენს საეკლესიო კანონიკური საზღვრების რევიზიასა და თვითნებურად შეცვლას, არ ახდენს ჩვენი ეკლესიის კანონიკური ერთეულების დამოუკიდებლობის აღიარებას.

ეცნობი ბართლომეს აწ უკვე ქართულად თარგმნილ წიგნს და ხედავ, რომ ბართლომეს აზროვნება დიდად არ განსხვავდება სოროსისეული „ენჯეოების" დოქტრინა–იდეოლოგემებისაგან. ბართლომეს ემისრები კი საქართველოში, დეკ. ზაქარია მაჩიტაძისა და მის ზურგს უკან მდგარი რამდენიმე ნაციონალი მღვდელმთავრის სახით, იღვწიან საქართველოს ეკლესიაში პატრ. ბართლომეს დამანგრეველი საქმიანობის პოპულარიზაციისა და მოდერნიტული სწავლების გასავრცელებლად. აკი თავადვე წერენ, რომ პატრ. ბართლომემ **„ფანარაში ჩემი სტუმრობისას . . . მომცა წიგნის ქართული თარგმანის კურთხევა"** (გვ.11). თურმე საქართველოს ეკლესიის სივრცეში რელიგიური ხასიათის წიგნის თარგმნისა და გავრცელების კურთხევას ადგილობრივი ეპისკოპოსი კი არ იძლევა, არამედ პატრ. ბართლომე. წიგნის ორიგინალი კი სად გამოიცა, როგორ ფიქრობთ? რა თქმა უნდა აშშ–აში. და ქართველი გამომცემლები აღნიშნავენ: **„დიდი მადლობა. . . წიგნის ამერიკულ გამომცემლობასთან შუამავლობაში გაწეული**

დახმარებისათვის, რის შედეგადაც გამომცემლობა „Random Hause“–მა ოფიციალურად დამრთო წიგნის საქართველოში გამოცემის ნება“ (გვ.11).

თავად წიგნის წინასიტყვაობაში საუბარია პატრ. ბართლომეს ეკუმენისტური ღვაწლის შესახებ, რომ მის **„სულიერ გამოცდილებაში შეიძლება ორი მხარე გამოვყოთ. მართლმადიდებლური ღვთისმოსაობა, ბავშვობაში . . . კუნძულ ხალკიზე სწავლის დროს განმტკიცებული, მეორე, სამყაროს უფრო ფართო ხედვა, რომელიც ჩამოუყალიბდა ზრდასრულ ასაკში, დასავლეთში (რომში, ბოზეში, მიუნხებში) სწავლის დროს. . .“** (გვ.15). აი ასე, უფრო ფართე ხედვა ყოფილა ბოზეს ემს[1] –სეულ ეკუმენისტურ ინსტიტუტსა და რომის პონტიფიკალურ ინსტიტუტში მიღებული განათლება, სადაც მან შეისწავლა ერეტიკოსების ჟან დანიელუს, დე ლუბაკისა და ივ კონგარის „ღვთისმეტყველებები“.

[1] ემს – ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, პანეკუმენისტური ორგანიზაცია, რომელიც საქარველოს ეკლესიამ 1997წ. დატოვა. ამის გამო პირადად ბართლომე დაემუქრა 2002 წელს სტამბულში ვიზიტისას ჩვენს უწმინდესს. მუქარამაც არ დააყოვნა. ბართლომეს ემისარმა მღვდელმთავრებმა და მათმა პირისფარეშმა სამღვდელოებამ, ნაციონალური ხელისუფლების ხელშეწყობით, წამოიწყო შეტევა ეკლესიაზე, რომლის მიზანი იყო ჩვენი პატრიარქის ეკლესიის მმართველობიდან გადაყენება და სინოდიალური მართვის შემოღება. ეს მმართველობა უნდა განეხორციელებინა ე.წ. სამთა სინოდს. საბედნიეროდ, ღმრთის შეწევნით, ეს მცდელობა ჩაეფუშათ მეამბოხეებს. ახლა სწორედ ეს ნაციონალი მღვდელმთავრები იღვწიან ბართლომეს გავლენის გასავრცელებლად საქართველოში, თარგმნიან და გამოსცემენ მის მწვალებლურ წიგნებსა და წერილებს.

ამიტომაც არ გვიკვირს ბართლომეს პროპაპისტური საქმიანობა და პაპოცენტრისული მისწრაფებები, მასონურიშეფერილობის აზროვნება (ბართლომეს სადოქტორო დისერტაცია). ბართლომე ახალგაზრდობაში მალევე დაუახლოვდა აშშ–ს სპეცსამსახურების მიერ გაპატრიარქებულ ათინაგორასა და წარმატებით გააგრძელა მისი ეკუმენისტური და ეკლესიის დამანგრეველი საქმიანობა. ბართლომეს წიგნში თავად ბართლომესადმი მიძღვნილ სახოტბო წინასიტყვაობაში აღნიშნულია:

- **„როგორც თურქეთის მოქალაქემ[2], საკუთარი პრაქტიკიდან გამოიმუშავა რელიგიური ტოლერანტობისა და რელიგიებს შორის დიალოგის ღრმა კონცეფცია“** (გვ 45).

წიგნის ქართული თარგმანის გამომცემლებს, დეკ. ზაქარია მაჩიტაძესა და მის თანამოაზრეებს სასიქადულო რამ გონიათ რელიგიური ტოლერანტობა, რომელიც სინამდვილეში არის მწვალებლობისა და ურჯულოების შემწყნარებლობა, ქრისტეს მაცხოვარობის უარყოფა. მათ მოსაწონი რამ გონიათ რელიგიებს შორის დიალოგი, რომელიც, ძირითადად, მიმდინარეობს ემს–ს ფორმატში და რომელიც სინამდვილეში მიმდინარეობს არა ჭეშმარიტების დასამოწმებლად და მწვალებლებისა და ურჯულოებისათვისჭეშმარიტების საქადაგებლად,

[1] ჩვენ დავამატებთ – და თურქეთის არმიის ოფიცერ–რეზერვისტმა

არამედ, როგორც თვითონვე ამბობენ, კონსენსუსისა და შეხების წერტილების მოსაძებნად, ადოგმატური ერთობის მისაღწევად. განსახილველ წიგნში აღნიშნულია ამ დიალოგის მიზანი: **„დაბრკოლებების გადალახვა და დანაწევრებული ეკლესიის ისევ გაერთიანება“** (გვ. 55), ანუ, როგორც წიგნშია აღნიშნული, იგი ემსახურება **„ურთიერთგაგების მიღწევას მუსლიმებს, კათოლიკე და მართლმადიდებელ თემებს შორის“** (გვ.45).

ბართლომემ იცის, რომ მისი ეკუმენისტური საქმიანობა მიუღებელია მონაზვნობისათვის, რასაც თავადვე აღნიშნავ წიგნში: **„თუმცა, ხანდახან მონაზვნები ეწინააღმდეგებიან „დიდი ეკლესიის“ ეკუმენურ გულისწადილს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამუდმებით ლოცულობენ, რათა „ყველანი ერთ იყვნენ“ ქრისტეს სხეულში“** (გვ.144). ნამდვილად, ყველა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და, განსაკუთრებით, მონაზვნები ლოცულობენ ყველას ერთობაზე ქრისტეს სხეულში, ანუ ქრისტეს ეკლესიაში, და არა ერთობაზე ანტიქრისტში და ანტიქრისტეს ეკლესიაში, რასაც ბართლომე და მისი ემისრები ემსახურებიან და რასაც ისინი ეკუმენურ ერთობასა და „დიდ ეკლესიას“ უწოდებენ.

წიგნში დიდ ხოტბას ასხამენ ბართლომეს: **„ეკლესიის ისტორიაში არცერთ საეკლესიო ლიდერს მთავარ ამოცანად ეკუმენური ურთიერთობები და**

დიალოგები არ დაუსახავს“. აღნიშნულია, რომ ბართლომეს ხელმძღვანელობით **„ქრისტიანები, მუსლიმები და იუდეველები ერთობლივად მუშაობენ ურთიერთობის გარღმავებისა და ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით“**, რომ ბართლომეს **„გამოსვლის ძირითადი თემებია რწმენის თავისუფლება და ადამიანის უფლებები, რელიგიური ტოლერანტობა და მსოფლიო რელიგიებს შორის ურთიერთპატივისცემის მიღწევა“** (გვ.46). დააკვირდით, არა ჭეშმარიტების დამოწმება, არამედ ღვთისმგმობი რელიგიების პატივისცემის მიღწევა. მართლმკვეთელობასა და აღმსარებლობას კი ბართლომე და მისი ემისრები ფუნდამენტალიზმსს უწოდებენ. ამიტომაც ვამბობთ, რომ დეკ. ზაქარია და ო, ბართლომეოსთან ერთად გვევლინებიან ეკუმენიზმის გამავრცელებლად ეკლესიაში. თუ ვინ და სად არის მათი ნამდვილი ბატონი და პატრონი, ამას წიგნიდანვე ვგებულობთ, სადაც აღნიშნულია, რომ ბართლომე: **„1997 წელს აშშ–ში ვიზიტისას კონგრესის ოქროს მედლით დაჯილდოვდა“** (გვ.46).

წიგნში მრავალ მოდერნისტულ მოსაზრებას იხილავს მკითხველი. ბართლომეს „პლანეტარული“ სწავლება „პირველქმნილი ცოდვის“ შესახებ სრულიად აბსურდული და მწვალებლობის ნიშნის მატარებელია. იგი ცდილობს „პირველქმნილი ცოდვა“ ეკუმენისტურ საბურველში გაახვიოს და დანარჩენ კაცობრიობასთან ერთობაში განჭრიტოს:

➢ „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი „პირველქმნილი ცოდვა“ მდგომარეობს არა რაიმე კანონების დარღვევაში, რომელმაც თითქოს ადამიანები „დამნაშავედ“ აქცია და ამის გამო ღვთის რისხვა დაიტეხა თავზე. არა, იგი წარმოადგენს ჩვენ ჯიუტ უარს, მივიღოთ ეს სამყარო, როგორც ჩვენი პლანეტასთან შეხვედრისა და შერიგების წყალობა და განვიხილოთ იგი, როგორც საიდუმლოება, რომელსაც დანარჩენ კაცობრიობასთან ერთად შევიცნობთ“ (გვ. 179).

ევქარისტიული ძღვენის შესახებ ბართლომეს ერეტიკული „პლანეტარიზმი„ ამბობს, რომ წმინდა ძღვენი:

➢ „საკუთარ თავში მოიცავს ცხოველებსა და მცენარეებს, მთებსა და ოკეანეებს – არა მარტო ადამიანებს, არამეს მთელ პლანეტას“ (გვ. 28).

ბართლომეს მოდერნისტულ–ერეტიკული ცნობიერების შესახებ მეტყველებს შემდეგი ამონარიდიც წიგნიდან:

➢„ბართლომეოსი ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობას განიხილავს, როგორც „ევროპული იდეის“ ძირითად ნაწილს. . . რა იდეა შეადგენს ევროპის „სულს“?. . . პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ ებრაულ გადმოცემაში, რომელიც მოყავს მარტინ

ბუბერს თავის „ხასიდურ მოთხრობებში“. . .“ (გვ.18).

საზოგადოდ, ბართლომე თავის წიგნში ხშირად მიმართავს იუდეველ ავტორებს, ასევე ხშრად ციტირებს ისლამს, და არამც თუ იზიარებს მათ ნააზრევებს, არამედ იხმობს მათ თავისი პანეკუმენისტური სწავლების ჩამოსაყალიბებლად, რაც, ფაქტობრივად, ახლოსაა სარწმუნოების უარყოფასთან. აი, ამონარიდები:

- **„პირადი შეხვედრა ამ რელიგიის მიმდევრებს შორის, განსაკუთრებით ურთიერთობა მათ შორის...ერთადერთი გზაა... ყურანის სიტყვებით. „სიმართლე თქვენი უფლისაგან“ (3:60)“** (გვ.292–293);
- **„და ისევ ვკითხულობთ ყურანში: „და თქვი სიმართლე თქვენი უფლისა: ვისაც უნდა, ირწმუნებს, და ვისაც უნდა, არ ირწმუნებს“** (გვ. 293).

ბართლომე უარყოფს მართლმადიდებლურ მისიონერობასა და აღმსარებლობას. **„იმოწმებს რა სიტვებს ბერნისა (1992) და ბოსფორის დეკლარაციიდან (1994)“** (გვ. 25), იგი ქადაგებს რელიგიურ–შემწყნარებლური დიალოგის აუცილებლობაზე, რომლის მიზანია არა ჭეშმარიტების ქადაგება, არამედ რელიგიური ტოლერანტობა და განურჩევლობა, დიალოგისა და ტოლერანტული ურთიერთობის აუცილებლობას კი იგი აფუძნებს

სამპიროვანი ღმერთის შესახებ თავის მკრეხელურ მოსაზრებაზე:

➢ **„ჩვენ შექმნილები ვართ „ღვთის ხატად და მსგავსად„... ინტერპერსონალური ღმერთისა. . . სამება სიმბოლოა შეხვედრისა და ურთიერთობისა“** (გვ. 30).

ამ მიზანსვე ემსახურება ბართლომეს მოდერნისტული სწავლება პიროვნების შესახებ:

➢ **?„ჯვარცმული ქრისტეს ტანჯვით აღსასრული განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების მეოთხე ასპექტთან – ერთიანობასთან, ან ეკოლოგიურობასთან“** (გვ.32).

ბართლომეს მკრეხელობა ყველა საზღვრს სცილდება თავისივე ლექსში, რომელიც მან პაპ იოანე–პავლე მეორესთან რომში შეხვედრისას 1994 წელს ვნების ხუთშაბათს წაიკითხა. აი, ამონარიდი ამ ლექსიდან:

> **„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე?**
> **თითქოსდა თავად ჯვარცმული ღმერთი**
> **წამით ათეისტი გახდა“.**

გლობალისტური მსოფლიოს სულისკვეთებითაა განმსჭვალული ბართლომეს მოწოდება ლიბერალურ–

ტოლერანტულ ყაიდაზე გარდაქმნილ ადამიანთა საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებით, რასაც ის ფერისცვალებას უწოდებს:

- **„უნდა ჩამოყალიბდეს უკვე გარდაქმნილ ადამიანთა საზოგადოება, რომ შემდეგ ერთად მოვითხოვოთ სამართლიანობა – მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ფერისცვალება“** (გვ. 245).

სამართლიანობაში კი ბართლომე და მისი ემისრები, უმთავრესად, გულისხმობენ ჭეშმარიტების დამცველთა მამხილებლური საქმიანობის აღკვეთას, – ასეთ საქმიანობას ისინი ფუნდამენტალიზმსა და სიბნელეს უწოდებენ. სწორედ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს იგი ყველას. იგი და მისი ემისრები, ვითომ ტოლერანტები, სრულიად არატოლერანტულნი ხდებიან, როდესაც საქმე შეეხება ჭეშმარიტ აღმსარებლობასა და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც ამოწმებენ ჭეშმარიტებასა და ამხელენ ღმრთისმგმობელობას. ეს ვითომ მშვიდობის მტრედნი ამ დროს მოძალადენი ხდებიან და ყველანაირად, მათ შორის ფიზიკურადაც უპირისპირდებიან ჭეშმარიტების დამცველებს, აღიჭურვებიან რა დემონიზებული მსოფლიოს კანონებით, დევნიან, ციხეებში სვამენ და ხოცავენ მართლმადიდებელს, მათ, ვინც უარს ამბობს ბოროტმიმღებლობასა და ცრუ ტოლერანტობაზე. აქვე

აღვნიშნავთ, რომ ნამდვილი ტოლერანტობა კაცთმოყვარებასა და ცოდვის მიუღებლობაში ჰგიებს, ხოლო ცრუ ტოლერანტობა, პირიქით, – ცოდვის შემწყნარებლობასა და კაცთმოძულეობაში, სწორედ იმაში, რაც შეადგენს ფსევდო–ლიბერალური იდეოლოგიიის არსს.

ახლა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი პატრ. ბართლომეს მკრეხელური, მწვალებლური, მოდერნიტული და სულის საზიანო ნააზრევ–გამონათქვამებისა იმ უამრავთაგან, რომლითაც გაჯერებული დასახელებული წიგნი:

- „ღრმა ურთიერთპატივისცემა უნდა გამოვხატოთ, რომელიც ჩვენს თთოეულ თანამოძმეს საშალებას მისცემს, რომ თავისი გზით მივიდეს ღმერთთან, იხელმძღვანელოს ღვთის ნების საკუთარი გაგებით“ (გვ. 292);
- „ანტიკური ღმერთის, იანუსის მსგავსად, მართლმადიდებელი ეკლესია ორივე მხარეს იხედება“ (გვ63–64);
- „ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, მადლიერებით შევთავაზოთ ღმერთს სამყარო“ (გვ. 220);
- „ჩვენ ვერ შევძლებდით საუბარს ღმერთის არსებობაზე საზოგადოების ცნების გამოუყენებლად“ (გვ.221);
- „თვით მონოთეისტური რელიგიების წმინდა ტექსტებში . . .“ (გვ. 292)

➢ „აშშ–ში, რელიგიური ფესვებით ძლიერ ქვეყანაში. . .“ (გვ. 223);

აშკარად მწვალებლურია ბართლომეს შემდეგი გამონათქვამები წმიდა სამების შესახებ:

➢ „თუკი ჩვენ, ადამიანები, შექმნილი ვართ წმინდა სამების ხატად, აქედან ჩანს, რომ ყველაფერი, რაც ნათქვამი იყო ღმერთზე, ასევე უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებაზეც“ (გვ. 221);
➢ „სწავლება წმინდა სამებაზე – ერთობის ღმერთზე, სოციალურ ღმერთზე – ეს ჩვენი სოციალური პროგრამაა“ (222);
➢ „წმიდა სამება – პიროვნებათა საზოგადოება“ (გვ. 16);

თვით პირწავარდნილ სოროსელს შეშურდება ბართლომეს შემდეგი ნააზრევი და ხატოვანი გამონათქვამი:

➢ „რწმენა და ტოლერანტობა ერთ ენაზე ლაპარაკობენ. მათი ანბანი თავისუფლებაა“ (გვ. 231). „ადამიანის უფლებები„... დევს რელიგიის არსში, რომელიც შინაგანად ხელს უწყობს და ავითარებს რელიგიურ თავისუფლებისა და ტოლერანტობის ცნებებს“ (გვ.230); „ადამიანთა რელიგიური თავისუფლების ფეხქვეშ გათელვით ჩვენ ხელვყოფთ ღმერთის თავისუფლება“ (234).

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ მარიონეტი ბართლომე აშშ–ს სპეცსამსახურების ხელში პოლიტიკურ იარაღად იქცა და ეკლესიაში დიდი პოლიტიკური პროვოკაციის განმახორციელებლად მოგვევლინა. უკრაინაში სქიზმატების მხარდაჭერით, სქიზმატური ეკლესიის ჩამოყალიბებითა და საკუთარ იურისდიქციაში მოქცევით მან უკვე დიდი განხეთქილება გამოიწვია ეკლესიაში. კატაკლიზმები ჯერ არ დამთავრებულა და რღვევის მასშტაბების წარმოდგენაც კი შემზარავია.

თავის ხსენებულ წიგნში ბართლომე ეთანხმება და ითავისებს არისტოტელეს ერთ გამონათვამს, იმდენად, რომ არისტოტელეს ხსენებული სენტენცია თავის წიგნში ციტატის სახით შეიტანა: **„არისტოტელეს თქმით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია“** (გვ. 23). ბართლომე და მისი ემისრები, მთელი თავიანთი საქმიანობით, გულმოდგინედ ცდილობენ არისტოტელეს ამ გამონათქვამის უტყუარობის დადასტურებასა და, მათმა შემხედვარემ, ლამისაა ირწმუნო კაცმა, რომ ადამიანი ღმრთის ხატება კი არა, პოლიტიკური ცხოველია. როდესაც ბართლომე ადამიანს, და, მაშასადამე, საკუთარ თავსაც პოლიტიკურ ცხოველს უწოდებს, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მივუგოთ მას: შენ თქუ, შენ თავად იტყვი, რომ პოლიტიკური ცხოველი ხარ.

ჩვენ კი მაინც დავძენთ, რომ ადამიანი ღმრთის ხატებაა, რომელიც ღმრთის ცნებების აღსრულებით ყველანაირად უნდა ცდილობდეს, რომ არ იქცეს ცხოველად, მათ შორის პოლიტიკურ ცხოველად. მაგრამ რა გინდა, რომ ქნა კაცმა, – ბართლომე ხომ არჩევანის თავისუფლებაზე საუბრობს, და მისი არჩევანი, როგორც ჩანს, სწორედ პოლიტიკური ცხოველია.